

რედაქცია

საქართველოს

რედაქცია
საბაზმით მასალა უნდა იყოს
დაწერილი გარკვეულად და
გვერდზე წერილში აღნიშნული უნდა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ივანე კონსტანტინეს ძე მდივანი, დედა
მარიამ მიხეილის ასული ჯინჯინაძისა, ქალიშვილი მარუსია ილარიონის
ასული კობახიძე და და ნეონილა სპირიდონის ასული ჯინჯინაძე აუწყებ-

ნადია სპირიდონის ასული მდივანისა.
გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 15 მაისს, ნაშუადღევს 4 1/2 საათ-
ზედ, საკუთარ სახლიდან, მესხეთის ქ., საფირჩხიის სასაფლაოზე, პანაშ-
ვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ.

გულდათუთქულნი: და ქსენია სპირიდონის ასული ჯაფარიძისა, სიძე
პლატონ ლუარსაბის ძე და დისწული ლადო პლატონის ძე ჯაფარიძე-
ბი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 10 ამ მაისს ხან-
მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და
ძვირფასი

ნადია სპირიდონის ასული მდივანისა
რომლის გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან (მესხეთის ქუჩა) მოხ-
დება ამა 15 მაისს, ხუთშაბათს, ნაშუადღევს 4 ნახ. ს. საფირჩხიის
სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 2-1

ღრმად დამწუხრებულნი სიძეები: შაქსიმე ლუარსაბის ძე გრიგორაშვი-
ლი და პოლიკარპე ვასილის ძე ნიშნიანიძე, და დისწული ბუბუტი მაქ-
სიმეს ძე გრიგორაშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ,
რომ 10 ამ მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათ-
თვის დაუვიწყარი და ძვირფასი

ნადია სპირიდონის ასული მდივანისა
რომლის გამოსვენება მოხდება 15 ამ მაისს, ხუთშაბათს, ნაშუადღევს
4 ნახ. საათზედ, მესხეთის ქუჩიდან საფირჩხიის სასაფლაოზე (მესხეთის
ქუჩა, საკუთარი სახლი). პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 ს. 2-1

გამოუთქმელ მწუხარებასა შინა მყოფნი მამლები: იოსებ, მიხეილი და
სიმონ კონსტანტინეს ძენი მდივანები და რძლები: ოლღა ვახტანგის ას-
ული და ნინა სამსონის ასული მდივანებისა და მასლიშვილები: პეტია,
დავითი პლატონი და პატარა თინკა მდივანები უღრმესი მწუხარებით
აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 10 ამ მაისს ხანმო-
კლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და
უძვირფასესი

ნადია სპირიდონის ასული მდივანისა
რომლის გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან (მესხეთის ქუჩა) მოხ-
დება ამა 15 მაისს, ხუთშაბათს, ნაშუადღევს 4 ნახვარ საათზედ, საფ-
ირჩხიის სასაფლაოზედ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.

გაუბედურებული მეუღლე თეო, შვილები; ვლენა, ალიოზა და მარუსა,
მამა მალაქია მაჭარაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და
ნაცნობთ ხან მოკლე და მძიმე ავადმყოფობით გარდაცვალებას

მღვდელ ვლადიმერ მაჭარაშვილისას
გამოსვენება ამა მაისის 14-ს დღით ოთხშაბათს 3 საათზე. სამხედრო
გოსპიტალიდან საფირჩხიის სასაფლაოზე. 1-1

თამაროზა.
დღეს საქართველო თავის ძლიერებისა
და დავაჟაცების ეპოქას მოიგონებს.
დედების მხრებზე დაყრდნობილი გე-
ლათის კედლები ერთხელ კიდევ შეინძრე-
ვა და ხარბად თვალს გადაავლებს შორე-
ულ წარსულს.
დღეს თამაროზაა.
ქართველ დემოკრატია ღვთაებრივი
იერით იღვრისაწაულა ჯერ არ არსებული
ინტერნაციონალიზმის, უსიკოცხლო საე-
რთაშორისო კონგრესებზე გამოტანილი
რეზოლუციის ტექსტები.

რად არ უნდა ვიღვრისაწაულოთ ჩვენი
ერის ინდივიდუალიზმის შექმნის ეპოქა,
ჩვენი მარადისობისა და გარდუალობის
ისტორიული მომენტი!
თამარის მონარქობა და წმიდანად გა-
მოცხადება მეორემეტყველების პოლი-
ტიკური და ზნეობრივი ხელოვნებაა,
აღორძინების დროინდელ ქართველების
შემოქმედებაა.
ქართველ დემოკრატის უფლება აქვს
ამ შემოქმედებასა და ამ ხელოვნებას
დღეს სულ სხვა სიუჟეტი მისცეს, სხვა
მოხაზულობა და სხვა ფორმა დაუდვას სა-
რჩულად.

თამარის წელს თუ ხმალი შემოარტყა
ძველმა ქართველობამ, ჩვენ უფლება
გვაქვს აუმაღლეს ხელმძღვანელს წელი
თეთრი „ლენტით“ დაუმშვენოთ „ნეიტ-
რალიზმის“ ემბლემად.
თუ ეს შეგვეძლება, თუ ამის შეგვაძ-
ლებიბენ!

მაგრამ ქართველ დემოკრატის არ აქვს
ზნეობრივი უფლება, თავის ბრწყინვალე
წარსულს წიხლი ჰკრას, რუსთაველებისა
და მხარგრძელების ეპოქის იმპერიალისტო-
ბა და მილიტარისტობა უსაყვედუროს.
არ უნდა დაივიწყდეს ჩვენს მთავრობას
ის ფსიქოლოგიურად საყურადღებო ფაქ-
ტი, რომ ერთ-ერთ ჩვენს კონსულს თე-
თრი გიორგის დიპლომატიის გველეშაბი
ვერ მოუშორებია და საზღვარ გეტულო-
ვაქრების ნებართვის ფურცლებზე ბო-
როტი გენია შუბით განრთხმული მოსა-
ჩანს.
უძლეველია ერის ნებისყოფა კერძო
პიროვნებებში ამეტყველებული.
ქართველ ერს სწყურია სიკოცხლე,
ძალა და თავისუფლება და თამარობის
დღეობაშიც ეს წყურვილი უნდა მოვიკ-
ლად ისტორიული შემეცნებით მაინც.
დღეს გელათის მონასტრის ვალაფანში
ჩვენ გვინდა გავხსენოთ ის დრო, დავით
აღმაშენებლის მკლავებზე რომ მონასტ-
რის მთელი ერთი უზარმაზარი კედელი
ეწყო.

ფედერალისტები ქალაქის საბ-
ჭოში.
ამ რამდენიმე თვის წინეთ ფედერა-
ლისტებმა ბოლშევიკებისთვის, რომელნიც
საქართველოს დამოუკიდებლობის წინა-
აღმდეგ იბრძოდნენ, ამნისტია მოითხოვეს.
და ქართველი ბოლშევიკების ლიდერმა
— სერიოჟა ქავთარაძემ პროტესტი განა-
ცხადა: ქარის არც მოტანილი გვინდა და
არც გატანილი და ფედერალისტების მიერ
ბოძებულ წყალობას არ მივიღებთო.

მართლაც, ფედერალისტებს ქართველი
ბოლშევიკების წინაშე ის უპირატესობა
აქვს, რომ საქართველოს დამოუკიდებ-
ლობას აღიარებენ იმ დრომდე მაინც,
ვიდრე აკვირებულ ფედერაციის იღვას
ხელსაყრელი პირობები არ დაუდგება.
შინაურ პოლიტიკაში კი ნამდვილი
ბოლშევიკები არიან.
ვისაც ჩემი სიტყვა ეეჭვება, ვსთხოვ
გადაათვალიერონ თუნდა თელო ლლონტის
წერილები „სახალხო ფურცელში“. თელო
ლონტი ხომ დღეს ფედერალისტებისთვის
ის არის, რაც პირველად არჩილ ჯორ-
ჯაძე იყო!

ამასვე ამოწმებს ფედერალისტების თვი-
თეული საჯარო გამოსვლა.
აი ამის ერთი მაგალითი. ქუთაისის
ქალაქის საბჭოს 12 მაისის სხდომაზე ფე-
დერალისტებმა წინადადება შემოიტანეს:
საეპიდემიო გადასახადი ქუთაისის შემლე-
ბულ მოქალაქეთ საბჭომ შეაწეროს და
გადაანდენიოს ძალით, დამფუნდემელი
კრების მიერ კანონის გამოცემისათვის
მოცდა საქირო არ არის, ჩვენი ფადგენი-
ლება კი დამფუნდემელ კრებას განცხა-
დებითი წესით შევატყობინოთო!

ერთი სიტყვით ქალაქის საბჭო საკა-
ნონმდებლო ორგანოს ფუნქციებით სურსთ
აღჭურვონ!
რამდენი ქალაქია, რამდენი სამაზრო
ერობაა და რამდენი თემია საქართველო-
ში, იმდენი საკანონმდებლო დაწესებუ-
ლება იქნება!
მაგრამ მაშინ დამფუნდემელ კრებას
ანუ პარლამენტს რა-ღა ფუნქცია შეერ-
ჩება?!
შესმის ფედერალისტების მემარცხენე
ფრთამ რომ რევოლუციონარ-სინდიკა-
ლისტურ პარტიად აღიარა თავი: იგი
წინააღმდეგობას სულ უარპყოფს.
მაგრამ პარტია, რომელიც ერთსადაიმთვე
დროს ანარქისტულ პრინციპსაც აღიარ-
ებს და სახელმწიფოსაც, — თავის შორი-
სობაში შინაგან წინააღმდეგობას წარმო-
ადგენს.
მაშასადამე მისი იდეური დუღილი ჯერ
არ დასრულებულია და, შეიძლება, პარ-
ტიის სრული დაშლით გათავდეს!

მედიკოსი ი. ჩარაშვილი
განახალ ავადმყოფების მიღება. იღებს მხოლოდ ქანის და
მენერიულ ავადმყოფებს დღით 12-2 საათამდის, საღამოს 6-8 დის.

მედიკოსი ბიკატორ ნიკიფორაშვილი
მედიკოსი მ. ხუციანთაძე
ღრმად დამწუხრებულნი: ღრმად დამწუხრებულნი: ღრმად დამწუხრებულნი
ღრმად დამწუხრებულნი: ღრმად დამწუხრებულნი: ღრმად დამწუხრებულნი

ზატარა ფელეტონი.

ფირცხალავას ლეგენაზე.

ფირცხალავა; სცენიდან: მეცნიერ და მტკიცა, რომ დამოუკიდებლობა რძინებს საქართველოს ეკონომიურათ იზიკურადაც. ეს მცნება სოც.-დემოკრატებამ მიიღო. ეს ასეა, მაგრამ მე არც სამსონ ფირცხალავას, ისიც რომ საქართველოს ეკონომიურად იზიკურად აღორძინება დაამყარებს ალიზმს საზოგადოთ მთელს ღუნიაზე ერთოთ ჩვენში—საქართველოში.

ბრდონ ბაჯელი; (პარტირიდან) არა თმანი? ჩვენ მოხუცი ვეღირსებით ალიზმის დამყარებას?

მსონ ფირცხალავა: თავი ნუ მომიბეა. აი ხომ ხედავთ ინგლისელები მან. ლონდონში რევოლიუციის ცეც-დანთებულა. უწონ რუსები იყვნენ ში და იგი რევოლიუციამ გაანადგურებანელები შემოვიდნენ და გერმანია შო, უკანასკნელად ინგლისელები იყ-და გასაქცევად მომზადებულნი არიან. იტალიელები მოდიან, მაგრამ სანამ იდოდნენ—რომაც აფეთქდება რევო-ციის სიწითლით. და როგორც სხანს ალიზმს ჩვენ მოხუცი კი არა პატა-სავშებიც კი მოესწრებიან!..

ბრდონ ბაჯელი: ოხ, შენ გენა-ლე სამსონჯან. ო რა ბედნიერი ვიქ-თ, ბედნიერები. ჩაგოცნიდი მაგ ზნ წვერ ულვაშებს, მაგრამ ვაი, რომ კიდევ ინგლისელების მიძიმე წალები ვა და სცენაზე შემობტომა არ შემო-

ისკანდერ ბევ.

პერკი დამუხსნარა.

ბრდონ ლორთქიფანიძის ხსოვნას). მტკაც იყო, ვით ბროლი თლილი, მოსანი, ვით არისტიდი, კანონთ მო-ე, ვითა სოკრატე. ბრდონ, თეთრ მარმარილოსგან გამოკ-ულ ქანდაკსა გავდა მისი მუღამ სუ-ბრილა სახე. ბამბის ქულა წვერ-ში და თეთრი სირმის თმა რალაც იდნეს აძლევდა ამ მდიდარსა, ღვთაე-ს სახეს და მოხუცისადმი განუსაზღვ-ბატივისცემასა და მოწიწებას გავრ-ძინებდათ.

სეთი იყო ის, როდესაც სდუმდა. მაგრამ უნდა გენახათ ის, როდესაც გვადო კრებებზე რამე სერიოზული თხის შესახებ დაიწყებდა მსჯელობას, დესაც ვისმე ეკამათებოდა: თეთრი თხაზე ჭარბის ფერს იღებდა; წყნა-ნაში თვალები ბრიალით ეღვარებდა და სისხლიანებული თითქო მუღდან დარდნას ლამობდა, მისი ჩვეულებრივ ლაზიანი ხმა ქვეა-ჭუხილით აფხვბდა ელ დარბაზს და მისი მჭეგრმეტყვე-რი, ბეჯითი სიტყვა, რომლიდა-მუღამ გულწფლობა, გამბედობა და თვინელობა გამოსჭვივოდა, მთელი მისი ყურადღებას ატყვევებდა, იპრო-

ბრდონ ის ნამღვილი მესმეტყორ-ლი ზეგესი იყო. ეს მოხუცი იყო ჩემი კერპი, ჩემი აფანო კერპი. ის იყო ჩემი იდეალი, სანატრიონი. მოხუცი იყო კირილე ლორთქი-ძე. კიდევ ყმაწვილი, მოწაფე ვიყავ-დით კირილეს ვერ ვიცნობდი, მაგ-ჩემი გრძნობა, ჩემი გონება ამ მის გარშემო ტრიალებდა, ფარვანა-თ მას უჩინარად თავს ევლებოდა. სიამოვნებას ვგრძნობდი, როდესაც მისი დაინახავდი ამ მოხუცს, რომე-ცნელის ნაბიჯით მიდიოდა და წყნა-მიაკატუნებდა თავის განუყრელ ამ-გს—შავ ქოლგას. გაფრდებოდი და მბოლი მისი მხერით. სულ მავიწყდე-და გაკვეთილები და ილლიაში ამოჩ-წივნივები. გული მწყდებოდა მხო-დ რომ ის ვერ გრძნობდა ჩემ სუ-

თამარ

მუღამ მისში ამწვანდება თამარ ზენარი. დაფანტავს ცაზე ბრილიანტებს ხელნარნარადი. ენთება სოსლანს და გამრეკელს მზეში ზარადი. გადიარს შოთა მთვარიანში მოუსვენარი.

თეთრ მონასტრებში ლიტანიობს ერი მღვინარი. აჯენს სასახლეს ფარდაჯულში დიბა, შარადი. ეჯირითება ჩახრუხაძე შავთელს მარადი. საქართველოში დაიოქრა დღე უთენარი.

ვინ არ აქებდა! ვინ არ ტრფობდა ნაზ ბაგრატიონს! ამაყ თავადებს მეფექალი წვავდა მზიანი! თორმეტ კუბოში, ო რომელმა კუბომ დატიოს!?

ერთხელ აგრგვინა მან შამქორი და ბასიანი. თქვენი დიდება, ქალბატონო, იყო რამხელა, — ალბათ ვარძიას შეუძლია უტყვად გამხელა!

შალვა კარმელი.

სონეტი თამარს.

თ. ჭ—ის ას—ს.

მწუხარე ქვებზე მეოცნებე სახე ნიმუხასი. —ო, ეს ფრესკები დაბინდებულ სიბრწყინვალეში. — გვამათება საუკუნე—ყინვის თარეში. უცხო სახელში იძირება ქვები ძვირფასი.

ამაყ გურჯების დედოფალი, ავადი, ფასი. ისმის ქვათინი გალაკრავულ თეთრ სამარეში: „ახ, თავადები დამალულან სიმწუხარეში. ბრწყინვალე დარბაზს გამოლხენდა ვაზირი ასი“.

დიდი თამარი. მოწყენილი ნათელ ხაზებით. მუღამ სპეტაკი, მედიდური და დარდიმანი. სურნელ ხსენებას დამალულად ველამაზები.

ნაფერებ მხერას გააოცებას სპილენძის ლანდი. და წმინდა სახელს თეთრ ლოცვებით მე მარად ვფენდი. მასზე ოცნებით შევიქენი უდარლო დენდი.

სონეტი მემო რე.

ფირუზის სარკე შენ გახვლებს ლალ მინანქრებით. თითქოს ჯადოსნობ დარბაზებში უცხო მისანი. თამარის სახელს მე ვიგონებ ბრწყინვალე ქებით, რომ გადაფანტა მედიდურად თმანი მზისანი.

თეთრი სურათი იმალება ძოწ საღაფებით. ოცნებობს შენზე გაბრაზებით ძველი ისანი. აგიეებ თითებს ყანსახით, ფერად ძაფებით. ჩამდგარან ლოცვად ლამის მცველნი ბალახისანი.

ლამაზობ მორცხვად მუქ კედელზე ვით ჯვირანი და მუსაიფში გეპარება თითქოს წარსული, დაღლილ თვალეში მეღანდება ცხელი ირანი. მიყვარს შეხედვა მოწყენილი, ფერ გადასული. ფერადი თვლები გიცინიან ურცხვი ზმანებით. ვილლები ლოცვით, წმინდა ცრემლებს ვალიდებ ნებით.

შალვა აფხაძე.

პი, მაგრამ დაიხსნება მხოლოდ ფიქრით. რად; მისი სული, ხსოვნა კი უკვდავია. სანამ ცოცხალ ვარ, მისი სული მის სპეტაკ სახეს, სიკვდილის წინ კი შეილოთ უფანდერძებ თავყანსაცემად...

განისვენე, სულმნათო მოხუცო! მშობელი მიწა მინც ემსუბუქოს შენს და-სუსტებულ სხეულს, სიცოცხლეში ტან-ჯულ, უსამართლოდ დასჯილ აღამიანს.

დავით ავალიანი.

საპარტიო კრების დაკავშირ.

იმერეთის საპარტიო კრებამ რომელიც წარსულ კვირაში მოხდა შემდეგი შინა-რისის დებეშები გაუგზავნა საქ. კათალი-კოს ლეონიდეს და მთავრობის თავმჯდო-მარეს ნ. ყორღანისას

თ ფილისი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქს ლეონიდეს.

იმერეთის საპარტიო კრება, მოგესალ-მებათ და მოგილოცავთ რა თქვენ სრუ-ლიად საქართველოს ეკლესიის პატრიარ-ქთა წმინდა საყდარზე აღსვლას, მხურვა-ლეთ ევგდრება უფალ ღმერთს თქვენი უწმინდესობის, ჯანმთელობისა და დღეგ-ძელობისათვის და იმედოვნებს, რომ თქვენი თავდადებული შრომა და ღვაწლი საყსებ-ით გადალახავს დღევანდელ ფრიად გა-რთულებულ ცხოვრების მიძიმე პირობებს ბრწყინვალეობით მოსილი საყვარელი სამ-შობლო ივერიის ეკლესიისას და ხელს შეუწყობს მის მარად განმტკიცებას და აყვავებას.

საპარტიო კრების თავმჯდომარე მი-ტროპოლიტი ნაზარ ქუთათელი.

თ ფილისი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუ-ბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ყორღანისას.

იმერეთის საპარტიო კრებამ, შემდგა-რმა ამა ეპარტიის მორწმუნე ხალხისაგან ექვსასი სამრევლოისა და მისი სამღვდ-ლოებისაგან, გიგო, რომ განათლების სამინისტროს დაუდგენია სასულიერო უწყების ყოფილი სასწავლებელთა უძრავ-მოძრავი ქონება განათლების სამინის-ტროს გადაეცეს.

ეს ქონება შეადგენს არა ხაზინის, არა ეკლესიის, არამედ იმერეთის სამღვდ-ლოების კერძო საკუთრებას.

მაშასადამე ეს აქტი არის ძალმომრეო-ბა, რომელსაც სხვა აღსარების ანუ არა მართმადიდებელ სამღვდლოების წინაა-ღმდეგ ვერ ღებულობენ ჩვენს რესპუბ-ლიკაში და ვერც მიიღებენ. რა დააშავა ჩვენმა სამღვდლოებამ როგორც კერძო მესაკუთრემ ზემოაღნიშნულ ქონებისა?

ეს ძალმომრეობა მით უფრო აღმაშ-ფოთებელია, რომ იგი არა თუ არ არის დამყარებული რაიმე იურიდიულ, კანო-ნიერ და სამართლიან საფუძველზე, არა-მედ მას ჩადის მხოლოდ ერთად ერთი უწყება — განათლების სამინისტრო და არა კანონმდებელი ორგანო და არა მთელი მთავრობა. ამ ნაირათ გამოდის, რომ ერთი უწყება ართმევს ძალდატანებით მეორეს მის კერძო საკუთრებას. მოგახსენებთ რა ყოველივე ამას, გთხოვთ თქვენ, როგორც თავმჯდომარეს მთავრობისას, მიიღოთ ზომა, რათა დაუყონებლივ გაუქმებული იქნას ახალი კანონი და შეუწყნარებელი დადგენილება საერთო განათლების სამი-ნისტროისა და იმერეთის სამღვდლოებას არ წაერთვას ზემოთ ნახსენები მისი ქო-ნება, რომელი მას შეძენილი აქვს მისი საკუთარის ხარჯით ოფლითა და სისხ-ლით.

საპარტიო კრების თავმჯდომარე მი-ტროპოლიტი ნაზარი ქუთათელი.

ლის კვეთებას და სრულიად ყურადღებას არ მატყვევდა.

მასხოვს, ერთხელ, როდესაც ვ. ჭილა-ძის მალაზიაში წიგნები ვიყიდე, მალაზიის წინ (ტროტუარზე) ჩვაფენილზე დავინა-ხე კირილე, რომელიც პ. წ—ძეს, ე. ნა—ლსა და ერთს კიდევ ვილაც უცნობს რაღაცას ცხარედ ეკამათებოდა. მე იქვე, შორი-ახლოს დავდექე, მაგრამ კირილეს მხერამ ისე გამიტაცა, რომ სრულიად შეუმჩნევლად, რაღაც მანქანებით მოკა-მათეების შუაში გაგჩნდი, ასე რომ პ. წ—ძეს ფეხზე ფეხიც დავადგი. ეს, რასა-კვირველია, ბ—ნმა პ—ემ იწყინა, უკან დამხია და წყრომით მითხოვა: „ბოლო, პირში ხომ არ გინდა ჩავვიძვრე? აქ გა-ჩერებას და ჩვენს ყურებას ის არ გირ-ჩენია—სახლში წახვიდე და გაკვეთილე-ბა ისწავლო?!“. მხოლოდ ახლა გამოვერ-კვიე. დარცხვენილმა და თვალეზე ცრემ-ლებს მომდგარმა გავსწიე წინისკენ და გუნებაში სულ წყვეა-კრულივით ვისხენიე-მდი პ. წ—ძეს, რომელმაც ასეთი ბედ-ნიერი შემთხვევა დამიკარგა...

და ეს ჩემი კერპი, ეს ძვირფასი მარ-მარილოს ქანდაკი მაღალი კვარცხლბეკი-დან დაბლა ჩამოავდო უმადურმა საზო-გადოებამ და მოინდომა მისი დამსხვრევა, მტვრად ქცევა?

მერე რისთვის? რატომ? მისთვის, რომ ის, როგორც ყოვლად პატიოსანი, გულმოწყალე აღამიანი, ყვე-ლას ენდობოდა, ყველას ეხმარებოდა, ხელს უწყობდა თავის საშუალებიდან თუ

სხვებთან თავდებობით; მაგრამ ნაცნობ-ამხანაგებმა მისი სიკეთე არ დაიხსომეს, მადლობის ნაცვლად დიდი უმადურობა გამოიჩინეს და სხვების წინაშე პასუხისმ-გებლადც გახადეს, როგორც ნივთი-რად, ისე ზნეობრივად.

„ჯვარს აცვ; ჯვარს აცვ მაგიო,“ შე-იქნა განვაში და ყვირილი ფარისეველთა და ხალხეველთა.

და „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ მაგიო,“ იმეორებდა პირახებული ბრბო. ჯვარს აცვს წმინდა მოხუცი...

ის კი, ჯვარზე გაკრული ლოცულობდა თავის მტრებისათვის: „უფალო, შეუნ-დე, რათა არა უწყიან, რასა იქმანო“.

მას შეეძლო თავის მართლება, შეეძ-ლო ჯვრიდან ჩამოსვლა და თავის გან-თავისუფლება, მაგრამ ამბობდა: „ყოვე-ლი მოჭალაქე თვის სამშობლოს კანო-ნებს უნდა ემორჩილებოდესო“.

და დემოჩილა ის არსებულ კანო-ნებს, რუსეთის დუხჭირ კანონებს; მოთ-მინებით გამოსცალა მეგობრების დასა-ლევე საწამლავეთი ფიალა და სხვების ნა-ცვლად ის ეწამა. ეწამა ფიზიკურად, ეწა-მა ზნეობრივად.

მას აქეთ ის სველარი იყო ფართო სა-ზოგადოებისათვის, მაგრამ ბევრისათვის ის ისევ ცოცხალბადა, ისევ არისტიდო-ბდა, ისევ სპეტაკი კირილე იყო, მხო-ლოდ წამების გვირგვინით შუბლ დამშ-გენებული.

ასეთი დარჩა ბოლომდე ის ჩემთვისაც. დღეს თუშეა დამეხსნება ეს ჩემი კერ-

საპ.სუსხო დებეში კათალიკოზ ლეონი-

დისა.

ქუთაისი.

მიტროპოლიტ ნაზარის.

როგორც თქვენ ისე საგარეო კრებებს უღრმეს მადლობას გიძღვნი მსურვალე მოლოცვისა და კეთილი სურვილების გამოთქმისათვის. ამით გამხდებულნი ზვარაკად შევეწირებ ჩვენს ნათელ მთასილ ეკლესიას. აქი ცხარე პროტესტით შევხვით განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას. იმედია ჩვენსას გავიტანთ. გლოკავთ მამა მთავრულათ. თქვენს კრებას უსურვებ მოქმედების ნაყოფიერებას და ბრძნული დადგენილების გამოტანას სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფის საკითხში.

მათლიკოზ პატრიარქი ლეონიდი.

დებეშები.

(საქ. დებ. საგ.)

11 მაისი

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. მაისის 9 სამხედრო ცნობა. სამხრეთის ფრონტი. ტაგანროგის მიმართულებით, მარიუპოლის აღმოსავლეთით 30 ვერსზე, ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა ბეზმიანოვ. იუზოვიკის სამხრეთ-დასავლეთით 30 ვერსზე კალმუსზე ბრძოლა. ბახმუტის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ბრძოლით დაიჭირეთ პონტიელემინოვსკაია და სადკი. დებალცევოს სამხრეთ აღმოსავლეთით 15 ვერსზე ჩვენ სოფ. ტიმოფეევკა დავიჭირეთ. ლუგანის რაიონში მდინარე ბელიასთან მოწინააღმდეგე შენაოვგიტია და ლუგანის დასავლეთით 20 ვერსზე სად. რუდაკოვო დაიჭირა. ამ რაიონში სამხრეთით ბრძოლა გრძელდება. (გამოტოვებულია). მოწინააღმდეგე გვიძულა განიხის მარჯვენა ნაპირისაკენ დავეხია. ტიხორეცკაის მიმართულებით, ველიკოკნიაჟის სამხრეთ აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ. ნაუენი. 7 მაისი გერმანიის დამფუძნებელი კრების საზავო კომისიამ განიხილა საკითხი რუსეთთან ეკონომიურ დამოკიდებულების განახლების შესახებ. ყველა ორატორმა გარკვეულათ გამოთქვა ის აზრი, რომ აუცილებელია მეგობრული დამოკიდებულების აღდგენა, სამხედრო მოქმედების შეწყვეტა და სავაჭრო ურთიერთობის განახლება. ლიონი. 7 მაისი. თემთა პალატის უმრავლესობამ პირველ მაისის არეულობის შესახებ სოციალისტების შეკითხვის გაშა კამათის შემდეგ მთავრობას ნდობა გამოუცხადა. ნაუენი, ცხრა მაისი. გერმანიის პოლიტიკური წრეები აღიარებენ, რომ მოკავშირეების მიერ გამოქვეყნებულმა ზავის პირობებმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. „ფორვერტი“ სწერს: შიმშილისაგან იძულებულმა გერმანიამ რომ კიდევაც მოაწეროს ხელი ვერსალის ზავს, ფარულად იგი მაინც უწყაყოფილო იქნებოდა მისით, როგორც გერმანიის ხალხისადმი ძალადობის აქტით და საერთაშორისო პროლეტარიატს მიმართავდა დასახმარებლათ და თავის ვადასარჩენათ, თუ ასეთი ზავი შეიკრა, ის ქაღალდის ნახევათ დარჩება და ნამდვილი ზავი არ იქნება. დამოუკიდებელთა გაზეთი „ფრეი-ციტი“ აცხადებს: საზოგადო თვალსაზრისით მოკავშირეთა მიერ გამოქვეყნებული ზავი წარმოადგენს კომპრომისს ვილსონსა და კლემანსოს შორის, რომელსაც მტკიცე საფუძვლები არ ექნება ხალხთა მეგობრულ თანამშრომლობის დროს და არ სპობს მილიტარიზმს და იმპერიალიზმს, ამიტომ არც ერთ პროლეტარულ პარტიას არ შეუძლია ამ ზავს მიესალმოს. ამ შეგნებამ მთელი პროლეტარიატი უნდა აიძულოს, რომ შეერთებული ძალით პარიზში შეეშავებული ზავი გააუქმოს და შესცვალოს ის ნამდვილი ზავით, რომელიც სოციალისტურ საფუძვლებზე იქნება აშენებული.

ინგლისური პრესის ცნობები.

ბერლინიდან იუწყებიან, ჯერ კიდევ არ შეიძლება ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, მიიღებს გერმანია თუ არა საზავო პირობებს. გახუთებში კანპანია დაიწყო იმ მიზნით, რომ საზოგადოებრივი აზრი ხელშეკრულების მიღების წინააღმდეგ ააშხედრონ.

„ბერლინერ ტაგებლატ“ ში თეოდორ ვოლფი ურჩევს გერმანიას არ მოაწეროს ხელი საზავო ხელშეკრულების პირობებს. ის აცხადებს რომ, მოკავშირეთა პოლიტიკა უგუნურობაა ხელშეკრულების პირობები ყოველივე იმედს სპობს.

ბაზელიდან ცნობები მოვიდა, რომ ვენის გაზეთების ცნობით ავსტრიის დელეგაცია კვირას წავა.

ბასრიდან იუწყებიან, რომ ჩინეთმა უწყაყოფილება გამოსთქვა კილო-ჩაოს შესახებ საზავო კონფერენციის გადაწყვეტილების გამო.

მესოპოტამიაში და ინდოეთში მყოფი ჯარის სამშობლოში დაბრუნება ამ დღეებში დაიწყება.

გერმანული პრესის ცნობები

მოკავშირეებმა გერმანიას 140 000 მეწველი ძროხა მოსთხოვეს.

მაისის 9. გრაფმა რანტკაუმ ვერსალში კლემანსოს ორი ნოტა გაუგზავნა. პირველ შემდეგი შინაარსისაა: „ბატონო პრეზიდენტო! გერმანიის დელეგაციამ დაასრულა მისთვის ჩაბარებულ საზავო პირობათა პიოველი განხილვა, დელეგაცია იძულებულია აღიაროს, რომ ამ ხელშეკრულების მთავარი მუხლები არ შეეფერება იმ პრინციპებს, რომელიც წინათ აღიარებულია და სამართლიან ზავს უნდა დაედოს საფუძვლათ. დელეგაცია არ მოელოდა, რომ გერმანიის ერი-სა და მთელი კაცობრიობისათვის გარკვეულ ფორმაში მიცემული დაპირება ამ მხრით ილიუზია გამოდგებოდა. ხელშეკრულების პროექტი შეიცავს ისეთ პირობებს, რომელიც არც ერთ გრისთვის მისაღები არ არის. ამას გარდა ჩვენი ექსპერტების აზრით ბევრის შესრულება შესაძლებელი არ არის. გერმანიის დელეგაცია განაგრძობს მათ განხილვას და თავის მოსაზრებებს და მასალებს წარუდგენს მოკავშირეებს და შეთანხმებულ სახელმწიფოებს.“

მეორე ნოტა ასეთია: „ნო პრეზიდენტო! გერმანიის დელეგაციის სურს გამოარკვიოს თავის დამოკიდებულება ხალხთა ლივის საკითხისადმი და ამასთანავე ერთად ვახსლებს გერმანიის პროგრამას, რომელიც მისი აზრით, ამ პრობლემის შესახებ არსებითი ხსიანის წინადადებას შეიცავს. გერმანიის დელეგაცია უფლებას იტოვებს შეკავშირებულ სახელმწიფოთა შესახებ უფრო დაწვრილებითი აზრი წარმოადგინოს. მაგრამ დელეგაცია ესლაც აღნიშნავს იმ წინააღმდეგობას, რომელსაც შეიცავს ის მოთხოვნა, რომ გერმანიამ უნდა მიიღოს ხალხთა ლივის სტატუსი, რომელიც თითქოს ჩვენთვის ჩაბარებულ ხელშეკრულების პროექტის ნაწილს შეადგენს, მაგრამ გერმანია იხსენიება ხალხთა ლიგაში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულ სახელმწიფოთა შორის. გერმანიის დელეგაცია ვითხოვლობს, აპირებენ თუ არა გერმანიის მოწვევას და რა პირობით? გერმანიის მთავრობა ნოტაში მოკავშირეების ურალდებას აქცევს კვლავ 15000 ლტოლვილის უშუქო მდგომარეობაზე, რომელიც რიგიდან გამოდევნეს და ამჟამად რიგის ყურეში კუნძულზე იმყოფებიან, აღნიშნავენ, რომ თუ მოკავშირეები დახმარებას დააგვიანებენ, მაშინ გერმანიის მთავრობა იძულებული იქნება მიმართოს თხოვნით ნეიტრალურ ქვეყნებს, რათა უკანასკნელებმა იზრუნონ ლტოლვილების ბედილალზე.“

„ფორვერტი“ სოციალისტური პარტიის კომიტეტი მთელი ქვეყნის სოციალისტების მიმართ შემდეგ პროკლამაციას აქვეყნებს: „ვერსალის საზავო ხელშეკრულების პროექტი მთელი ქვეყნის ზავის მომხრეების ყველაზე უიმედო მოლოდინს აჭარბებს. ნამძალადგვი ზავი, რომელსაც

ვერსალის კარნახით თავს გვახვევენ, საცემბით ამართლებს სოციალდემოკრატების პოზიციას ეროვნულ თავდაცვის საკითხში. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, თუ რა მოელოდა გერმანიას, თუ მოკავშირეთა იმპერიალისტებს საშუალება მიეცემოდათ ზავი ეკარნახათ ჩვენთვის. ამიტომ ყოველი საშუალებით ვსცდილობდით ასეთ მდგომარეობის თავიდან აცილებას. სხვა ქვეყნის სოციალისტებს ესტად გესმით თუ არა, თუ რათა დაგვეჭიროს ისეთი პოზიცია?

სხვა ქვეყნის იმპერიალისტები ჩვენებზე უკეთესნი არ არიან. ზავი, რომელსაც ჩვენ თავს გვახვევენ გერმანიის რესპუბლიკას გულს უგმირავს. საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის კაპიტალისტურ მთავრობის გეგმით აუტანელი პირობები იქნება სოციალისტურ გერმანიის აყვავებისთვის და იმავე დროს ლახვარს სცემენ საერთაშორისო სოციალიზმს. ჩვენ, გერ. სოც., მომხრენი ვიყავით რომელიც შეუძლებელს გახდიდა ომის განმეორებას. მოკავშირეთა სახელმწიფო მოღვაწეებმა არა ერთხელ განაცხადეს, რომ ისინი კაიზერის და იუნკრების წინააღმდეგ იბრძვიან და არა გერმანიის ხალხის წინააღმდეგ. ვერსალის ზავი მთელი გერმანიის ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული. ყველა ეკონომიური ძალდატანება და ფინანსური ძალადობა თუ განხორციელდა, როგორც ეს განზრახულია, მაშინ გერმანიის მუშები მონებთ გადაიქცევიან და სხვა სახელმწიფოთა კაპიტალისტებს უნდა ემსახურონ. გერმანიის სურს ანახალაუროს ომის მიერ და ნორმების რეგულირების დამპყრობელთა ბრძანებით საერთაშორისო უფლებების დარღვევის გამო მიყენებული ზარალი. გერმანია კისრულობს ბელგიის და ჩრდილოეთ საფრანგეთის აღდგენის ხარჯებს, მაგრამ ამისთვის შიგნით სახელმწიფოში ეკონომიური წესრიგი უნდა არსებობდეს. ზავი იმ სახით, როგორც ეს განზრახულია, გერმანიის მოწყობილ ეკონომიური ცხოვრებისთვის სასიკვდილო განაჩენია. პირობების შესრულება შეუძლებელია და მისის წვრილმანგის განხორციელების ცდა მუდამ წინააღმდეგობას გაუწევს. ამასთანავე ერთად მძულ ვარების საფუძველი არ მოისპოვა და ოთხი წლის ომით დატანჯული ევროპა ვერას დროს ვერ დაწყნარდება. ვერსალში განზრახული ზავის ყოველი ცალკე მუხლი ვილსონის 14 პუნქტის დაცინვაა. გერმანიის ერს არ ექნება თვითგამორკვევის უფლება. წმინდა გერმანულ ოქტებს, როგორც მაგალითად დანციგს, მეტცს და სხვ. გერმანიის რესპუბლიკას სწევტენ და ამ ოქტების მცხოვრებლებს მათ დაუკითხავათ ძალით უცხო სახელმწიფოს უღელს აღგამენ კისერზე. აუტანელია აგრეთვე საარის ოქტის დაფარული ანექსია. ბისმარკი საცოდავი ხდება იმ ათეულებთან შედარებით, რომელიც ესლა გერმანიას შლიან და იმავე დროს გვირჩევენ შეუერთდენ ხალხთა ლიგას, რომელიც მხოლოდ მათ შეადგენს, რომელიც შიაც აპირებენ თავის ბატონობის გაგრძელებას და მისი საშუალებით გერმანიის ჩაგვრას. ასეთი საზავო პირობები, რომელიც აბუჩად ივდებს ყოველივე სამართლიანობას ვერ შექმნიან მტკიცე ზავს და მხოლოდ სიძულვილეს იწვევენ. ასეთი პირობები მხოლოდ გააძლიერებდენ რეაქციონერთა ნაციონალისტურ აგრესიას და სოციალისტებს ხელს შეუშლიდენ ხალხთა განვითარებაში.

ყველა ქვეყნის მუშათა მთავარი მიზანი უნდა იყოს ის, რომ არ დაუშვან ასეთი ზავის შეკრა. ბერნში ნეიტრალურ ქვეყნების სოციალისტები მოკავშირეებს და ცენტრალურ სახელმწიფოებს შეუთანხმდენ ზავს საერთო პროგრამის შესახებ. მათ პროტესტი განაცხადეს ვილსონის პრინციპების ასე თუ ისე შეცვლის გამო და სადაც, როგორც მაგალითად საარის ოქტის და დანციგის, საკითხების შესახებ სცდილობენ ისეთი გადაწყვეტილება გამოეხატათ, რომელიც გერმანიას არ აიძულებდა ახალი ომი დაიწყოს. მოკავშირეთა მთავრობები არავითარ ანგარიშს არ უშევენ მტკიცე ზავის შექმნის აუცილებლობას და მხოლოდ ფიზიკურ ძალას ეყრდნობიან ნუ თუ საერთაშორისო სოციალიზმი იმდენათ არ აიმაღლებს ხმას ნა-

ძალადვე ზავის წინააღმდეგ, რომ ვანჯვებულთა ბანაკში ყურად იღონ იერი? ვგვონია, რომ აიმაღლებს, მაგრამ არ იცდის. ვაშინაძის ხალხი დაღუპი პირზეა. ამის უკმაყოფილონი ყველა მოელის: სახელმძღვანელო, ევროპის შეყველა ქვეყნის ხალხმა არ ნახული უბურება უნდა ვადიტანოს. თუ ერთი სრულიად განადგურდა, ეს საგრძნობ გავლენას იქონიებს სხვა ერებზედაც, ატომ მივმართავთ მთელ ქვეყნის პროტარიატებს, გაავრთიანთ თქვენი ხმა ალაადვე ზავის წინააღმდეგ, რომელიც როპას წაართმევს დაწყნარების საშუალებას და საგრძნობ ზარალს მიაცენებს სოციალისტურ ქვეყნებს.

† გლ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.

11 მაისს საშუალოთ სიცოცხლეს მოესალმა ჩუმი მუშაკი, შრომის და მშობელი ერის უაღრესად მოყვარული მღვდელი ვლადიმერ მაჭარაშვილი. განსვენებული უზგვით დაჯილდოვებული იყო მწებრივის ნიჭით, სიღარიბემ და ხელმკლევამ არ მისცა მას ნება თავისი ნიგანევითარებინა და საკმაო განათლებიელო; მაგრამ მთელი თავისი ცოდნა და ნიჭი მან საზოგადო საქმეებს მოალომა. 1905 წელში მხურვალე მონაწილეობას იღებდა მოძრაობაში. რეაქტივობის დროს დააპატიმრეს და სპერობილეში ამოაყოფინეს თავი. ღვდობა ჩამოართვეს და სამსახურიდან დაიხრევენ. სასამართლომ მას რუსეთში დასახლება მიუსაჯა მაგრამ ეპისკოპოს ლეონიდის წყალობით მას სასჯელი შეუსუბუქეს და ექვსი თვით დაატუსაღე ღვდლობა დაუბრუნეს და სასჯელი მიწამეთის მონასტერში მოახდევინეს.

განთავისუფლების შემდეგ განსვენებული თავის სოფელს დაუბრუნდა, სადა მან ფართე ასპარეზი იპოვა პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. თავისი სოფ. კობოული და მისი ახლო მახლო სოფლები მისი წყალობით კულტურულად დაწინურდენ; განსწავლეს და წიგნ-საცემები. დაასრსა ბანკები და კოოპერატივებისთვისაც დიდი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა თავის მოძმეთა შორის.

განსვენებული ქვემარტი მოძღვარი დნამდვილი ადამიანი იყო. იგი იყო როგორც სულიერი მამა ისე მრჩეველი დამოამევე ყოველივე საქმეში.

რევოლიუციის დაწყების შემდეგ განსვენებული ქუთაისში გადმოსახლდა. მის მშფოთავი მკვირცხლი ცოდნის შეძენის გატაცებული ბუნება აღარ აჩერებდა სოფელში. მაგრამ შეუბრალეებლმა სიკვდილმა მას არ დააძალა და ჯერ კიდევ ახალგაზდას სიცოცხლე მოუსპო.

განსვენებულს გატაცებით უყვარდმშობელი ერი: მისი აზრი და ფიქრი ყოველთვის მის გარშემო ტრიალებდა; ყოველივე ბედი და უბედობა სამშობლოს მას აღეღებდა და მასში მხურვალე მამოძრავებელს პოვებდა. განსვენებული თანამშრომლობდა თითქმის ყველა ჯურნალ გაზეთებში. უმეტესად თავის წერილებს იგი ათავსებდა გაზ. „საქართველოში“ „სამშობლოში“ და „სასოფლო გაზეთში“ შესანიშნავი არის მისი წერილები სოფლომურწეობის შესახებ. აგრეთვე ბევრი ხელთნაწერები დარჩა განსვენებულს.

იშვიათი არიან ისეთი ადამიანები, რომ გორც იყო ვლადიმერ მაჭარაშვილი. მის დაკარგვით ქართველმა ხალხმა დაპკარგა ახლოს უცნობი მაგრამ მისთვის რიად საჭირო და გამოსადეგი ადამიანი მშვიდობით კეთილო მოძღვარო! შეგპირნათლად შეასრულე შენი ვალი შენ ქვეყნის და შენი ერის წინაშე! შენ გააკეთე ის რის კაცებადაც შეგძლო და ნიშნად პატივისცემისა საუკუნო იქნება ხსენება შენი მათ შორის ვის შორისაც შენ მოღვაწეობდი და სთესდი სიკეთესა დასათნოებას.

შალვა ჩუბინიძე.